

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და ანესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს რექტორის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა და რექტორის წინაშე.

**მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები**

სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს სამეცნიერო ფონდებთან და დონორ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებას და თანამშრომლობისთვის ხელშეწყობას;

ბ) ახორციელებს უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის კონსულტაციების განწევას სამეცნიერო სფეროში;

გ) ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მონაწილეობით შეიმუშავებს აკადემიური/მონწვეული/სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის სქემას, ახორციელებს სქემით განსაზღვრული აქტივობების შესრულების კონტროლს და რექტორისთვის შესაბამისი ანგარიშების წარდგენას;

დ) ხელს უწყობს უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

ე) უზრუნველყოფს სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებას და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ჩართულობას;

ვ) უზრუნველყოფს კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზებას სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებით;

ზ) უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის/პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე მიღებული შედეგების გამოყენებას პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის;

თ) ამზადებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევების შესახებ;

ი) ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, რისთვისაც ამყარებს კავშირებს სხვადასხვა კვლევით ცენტრებთან/ერთეულებთან;

კ) ახორციელებს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მხარდაჭერას სხვადასხვა საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიღების მიზნით, უწევს შესაბამის კონსულტაციებს;

ლ) შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

მ) მონაწილეობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეიმუშავება/განვითარება/განხორციელებაში;

ნ) ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მონაწილეობით შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესს;

ო) საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს ხელმძღვანელობას; ამზადებს ანგარიშს განუვლი საქმიანობის შესახებ;

პ) ასრულებს უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტაციით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს და რექტორის დავალებებს.

### **მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა**

1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამსახურისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

### **მუხლი 4. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.